პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 38-ე წელი | № 302 (10999) | ოთხშაბათი, 25 დეკემბერი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მხურვალედ მილოცავენ უკრაინის მუშებს, კოლმეურნეებს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელს ღირსშესანიშნავ წლისთავს — საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შექმნის მეორმოცე წლისთავს.

ორმოცი წლის წინათ უკრაინის მუშები და მშრომელი გლეხები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით გაბედულად დაადგნენ თავიანთი რუსი მოძმეების გზას და მათთან კავშირში ისტორიული გამარჯვება მოიპოვეს სოციალისტურ რევოლუციაში, რომელიც ძირეულ მობრუნებას მოასწავებდა ხალხთა ბედში. დაამყარა რა მუშურ-გლეხური ხელისუფლება, განუხრელად ხელმძღვანელობდა რა კომუნისტური პარტიის ბრძნული ლენინური პოლიტიკით და ეყრდნობოდა რა რუსი ხალხისა და სსრ კავშირის სხვა ხალხთა ძმურ დახმარებას, უკრაინელმა ხალხმა განვლო ბრძოლისა და გამარჯვებათა სახელოვანი გზა, მოიპოვა დიდი წარმატებანი სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში.

დიდი უკრაინელი ხალხის ძმური მეგობრობა დიდ რუს ხალხთან და საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან, რომლებმაც მოიშორეს მემამულეთა და კაპიტალისტთა საუკუნეობრივი უღელი, ის მძლავრი ძალა იყო, რომელმაც შესაძლებელი გახადა ყველა სიძნელის გადალახვა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში. ეს მეგობრობა იწრთობოდა და მტკიცდებოდა ჩვენი ხალხების ერთობლივ ბრძოლაში უცხოელი ინტერვენტებისა და შინაური კონტრრევოლუციის წინააღმდეგ სამოქალაქო ომის წლებში; იგი იწრთობოდა და მტკიცდებოდა დიდი სამამულო ომის მკაცრ განსაცდელში. საბჭოთა კავშირის ხალხთა ურღვევი მეგობრობა ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ძლიერებისა და უძლეველობის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ერთიან სახელმწიფოდ გაერთიანებულმა უკრაინელმა ხალხმა საბჭოთა სოციალისტური წყობილების პირობებში მოკლე ისტორიულ ვადაში გადააქცია თავისი სამშობლო მოწინავე, აყვავებულ რესპუბლიკად და უდიდესი წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში უკრაინის სახელოვანი მუშათა კლასის თავდადებული შრომით სავსებით იცვალა სახე დონბასისა და უკრაინის სხვა რაიონების ქვანახშირის შახტებმა, მეტალურგიულმა და ქიმიურმა ქარხნებმა, შეიქმნა ახალი შახტები და ქარხნები; აგებულია გიგანტური ელექტროსადგურები დნეპრზე; აშენდა და ახალი ტექნიკით აღიჭურვა მძლავრი სატრაქტორო და სხვა მანქანათსაშენი ქარხნები. საბჭოთა უკრაინა ახლა აწარმოებს 4-5-ჯერ მეტ თუჯს, ფოლადს, ნაგლინსა და ქვანახშირს, ვიდრე მთელი მეფის რუსეთი აწარმოებდა 1913 წელს. უკრაინა ჩვენი ქვეყნის ქვანახშირისა და მეტალურგიის უმნიშვნელოვანესი ბაზაა, მანქანათმშენებლობის, ქიმიური და კვების მრეწველობის უდიდესი რაიონია.

საბჭოთა უკრაინა მოწინავე სოციალისტური მიწათმოქმედების რესპუბლიკა, ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბელტი და დიდად განვითარებული მეცხოველეობის უდიდესი ბაზაა. ამჟამად უკრაინა აწარმოებს მარცვლეულის საერთო საკავშირო პროდუქციის ერთ მეხუთედზე მეტს, შაქრის ჭარხლის თითქმის ორ მესამედს და რძისა და ხორცის ერთ მეოთხედს. რესპუბლიკის კოლმეურნეებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებმა სერიოზული ნაბიჯი გადადგეს წინ იმ მოწოდების განხორციელებისათვის ბრძოლაში, რომელიც წამოაყენეს მოწინავე კოლმეურნეობებმა და რომელსაც მხარი დაუჭირა პარტიამ, რომ უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე ხორცის, რძისა და კარაქის წარმოების მხრივ.

საბჭოთა უკრაინა მოწინავე სოციალისტური კულტურის ქვეყანაა. მის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულია უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების მქონე 1 მილიონ 250 ათასზე მეტი სპეციალისტი. უკრაინის უმაღლეს სასწავლებლებში 346 ათასი სტუდენტი სწავლობს. საბჭოთა ადამიანებს დიდად ახარებთ წარმატებანი უკრაინელი მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნებისა, რომლებმაც ბრწყინვალე აყვავებას მიაღწიეს და სულიერად ამდიდრებენ ჩვენი სამშობლოს ხალხთა სოციალისტურ კულტურას.

უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა თავისი არსებობის მეხუთე ათეულ წელიწადში შედის შემოქმედებითი ძალებითა და ენერგიით აღსავსე, ახალ გამარჯვებებს აღწევს კომუნისტურ მშენებლობაში. უკრაინელი ხალხის დიდი მიღწევები კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის, ყველა საბჭოთა ხალხის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების პოლიტიკის გამარჯვებაა.

უკრაინელი ხალხი თვალუწვდენი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად ურყევად დგას ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საგუშაგოზე. საბჭოთა უკრაინა, როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრი, მთელ თავის ძალღონეს საერთაშორისო ასპარეზზე ახმარს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას და ახალი ომის თავიდან აცილებას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ უკრაინელი ხალხი კვლავაც თვალისჩინივით გაუფრთხილდება კომუნიზმის ყოვლისმძლე დროშასადმი ურყევ ერთგულებას, თავის ურღვევ მეგობრობას ჩვენი ქვეყნის მოძმე ხალხებთან, განამტკიცებს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირს, სოციალისტური სახელმწიფოს ეკონომიურ ძლიერებასა და თავდაცვისუნარიანობას.

ვუსურვებთ ნიჭიერ და შრომისმოყვარე უკრაინელ ხალხს ახალ წარმატებებს მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის შემდგომ აღმავლობაში, მშრომელთა კეთილდღეობის განუხრელ გაუმჯობესებაში, კომუნიზმის მშენებლობაში.

გაუმარჯოს უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელოვან მე-40 წლისთავს!

გაუმარჯოს ჩვენს დიად სამშობლოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს!

დიდება საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — ოქტომბრის რევოლუციის ბელადს, კომუნიზმის მშენებლობის სულისჩამდგმელსა და ორგანიზატორს!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი | სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი | სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე

ძვირფასო ამხანაგებო!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით და დავალებით მხურვალედ მოგესალმებით და მოგილოცავთ თქვენ, ხოლო თქვენი სახით უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყველა მუშას, კოლმეურნეს, ინტელიგენციას უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცი წლისთავს. **(შქუხარე, ხანგრძლივი ტაში).**

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, რომლის მეორმოცე წლისთავი ამას წინათ აღნიშნა მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ, გახდა მობრუნების პუნქტი ჩვენი ქვეყნის ხალხთა ბედში, მათ შორის უკრაინელი ხალხის ისტორიულ განვითარებაში. 1917 წლის დეკემბერში უკრაინის მუშებმა და გლეხებმა თავიანთი რუსი ძმების მაგალითისამებრ და დახმარებით მოიშორეს მემამულეთა და კაპიტალისტთა უღელი და დაამყარეს საბჭოების ხელისუფლება.

უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკის შექმნასთან დაკავშირებით ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა სახალხო კომისართა საბჭოს სახელით მხურვალე ძმური სალამი გადასცა უკრაინის მუშურ-გლეხურ მთავრობას. „რუსეთის საბჭოთა მთავრობა, — წერდა იგი მაშინ, — გამოთქვამს თავის აღტაცებულ თანაგრძნობას უკრაინის მშრომელთა და ექსპლოატირებული მასების გმირული ბრძოლისადმი, რომელნიც ამჟამად წარმოადგენენ მსოფლიო სოციალური რევოლუციის ერთ-ერთ მოწინავე რაზმს“.

ორმოცი წლისთავი უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკისა, რომლის დაბადებას ასე აღფრთოვანებით მიესალმა ვლადიმერ ილიას-ძე, შესანიშნავი დღესასწაულია არა მარტო უკრაინელი ხალხისა, არამედ აგრეთვე ჩვენი საბჭოთა სამშობლოს ყველა მშრომელისა.

უკრაინის მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით ორმოცი წლის განმავლობაში შექმნეს თავისი, სახალხო, სოციალისტური, ნამდვილად თავისუფალი, სუვერენული სახელმწიფო, რომელიც განუყრელი მეგობრობით არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხთან. **(ტაში).**

უკრაინის მუშებმა და გლეხებმა კარგად იციან და ახსოვთ, თუ რა სიხარბით ილტვოდნენ უკრაინისაკენ იმპერიალისტები, სურდათ ხელში ჩაეგდოთ უკრაინული პური და ქონი, დონეცის ქვანახშირი და კრივოი როგის მადანი, ყველაფერი, რითაც მდიდარია უკრაინის მიწა. მშრომელებს რომ არ გაეჩერებინათ თავიანთი მოსისხლე მტრები — კაპიტალისტები და მემამულეები და მათი დაქირავებული აგენტები სკოროპადსკები და პეტლიურები, მათ რომ არ გაეჩერებინათ უცხოელი ინტერვენტები, უკრაინას აუცილებლად დააწყნარებდნენ და დაიმონებდნენ დასავლეთ ევროპის იმპერიალისტები, მას არ ექნებოდა ეროვნული დამოუკიდებლობა და ვერ იარსებებდა როგორც მშრომელთა სუვერენული და თავისუფალი სახელმწიფო.

უკრაინელმა ხალხმა, რუსი ხალხისა და საბჭოთა კავშირის სხვა ხალხების ძმური დახმარებით, წარმატებით განახორციელა სოციალისტური გარდაქმნები, დიდი სამამულო ომის მკაცრ განსაცდელში დაიცვა თავისი თავისუფლება და დამოუკიდებლობა, თავისი მშობლიური საბჭოთა ხელისუფლება. პირველად ისტორიაში უკრაინის მთელი მიწა-წყალი გაერთიანდა უკრაინის ერთიან სახელმწიფოდ, რაც ისტორიული მოვლენა იყო ხალხის ცხოვრებაში.

უკრაინელი ხალხის, ისევე როგორც ჩვენი ქვეყნის სხვა ხალხების, ყველა მიღწევა შეუდგია კომუნისტური პარტიის ლენინური ეროვნული პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელებისა, საბჭოთა კავშირის ხალხების ურღვევი მეგობრობისა.

ხალხთა ძმური მეგობრობის ნამდვილი სულისჩამდგმელი იყო მშრომელთა დიდი ბელადი, კომუნისტური პარტიის ფუძემდებელი ვ. ი. ლენინი. მან შეიმუშავა ჩვენი პარტიის თეორიული პროგრამა და პოლიტიკა ეროვნულ საკითხში, რაც მძლავრი იარაღი გახდა სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში.

თავისი დაბადების პირველი დღეებიდანვე კომუნისტური პარტია გამოდის პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და ხალხთა მეგობრობის იდეოლოგიის მედროშედ. პარტია განუხრელად ახორციელებს მრავალეროვანი სოციალისტური სახელმწიფოს ყოველი ღონისძიებით განმტკიცების პოლიტიკას.

ჩვენს ქვეყანაში პირველად ისტორიაში გადაიჭრა ხალხთა ეკონომიური და კულტურული უთანასწორობის ლიკვიდაციის ამოცანა.

მჭიდროდ დარაზმულნი ერთიან ძმურ ოჯახად, საბჭოთა კავშირის ხალხები წარმოადგენენ უძლეველ ძალას. მათ აქვთ ერთიანი მიზანი — კომუნიზმის აშენება, საერთო ინტერესები და მისწრაფებანი, საერთო სიხარული და საზრუნავი. ჩვენი ხალხები თავდადებით იცავენ ერთმანეთს და ეხმარებიან ერთიმეორეს შრომასა და ბრძოლაში. მათ ახლა ვერ წარმოუდგენიათ თავიანთი ცხოვრება საბჭოთა სოციალისტური ერების თანამეგობრობის გარეშე, რომელშიც ჰარმონიულად შერწყმულია თვითეული რესპუბლიკის ეროვნული ტრადიციები და ხალხთა ინტერესები სსრ კავშირის ყველა მშრომელთა საერთო სასიცოცხლო ინტერესებთან. აი რატომ უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ორმოცი წლისთავი ჩვენში აღინიშნება როგორც ჩვენი სამშობლოს ყველა მშრომელის სასიხარულო დღესასწაული. **(ტაში).**

უკრაინაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ღირსშესანიშნავ თარიღს საბჭოთა ადამიანები აღნიშნავენ საბჭოთა კავშირის ხალხთა დიდი პატრიოტული ამავლობის, ჩვენი სამშობლოს ძლიერების შემდგომი ზრდის ვითარებაში.

1957 წელი, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ მთავრდება, საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფოს ცხოვრებაში იყო საიუბილეო, მეორმოცე წელი. იგი მდიდარი იყო ბევრი მოვლენით როგორც ჩვენი ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში, ისე საერთაშორისო ასპარეზზე. ამ წელიწადმა ჩაიარა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით შესრულების ნიშნით, ყრილობისა, რომელმაც დასახა კომუნისტური მშენებლობის დიდებული პროგრამა.

დიდი ოქტომბრის მეორმოცე წლისთავის დღესასწაული გადაიქცა არა მარტო საბჭოთა კავშირის ხალხების, არამედ აგრეთვე მთელი პროგრესული კაცობრიობის დიდ ზეიმად, იმიტომ რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენაა, რადგან მან დასაბამი მისცა ახალი სამყაროს მშენებლობას სოციალისტურ საფუძვლებზე.

საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის, მშრომელი გლეხობისა და ინტელიგენციის, ყველა ხალხის ორმოცი წლის საქმიანობა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც დიდმა ლენინმა შექმნა, აღინიშნა ისტორიული გამარჯვებებით. სოციალიზმის აშენება, კომუნიზმის წარმატებით მშენებლობა — აი ჩვენი ხალხის შრომითი ღონისძიებების მთავარი შედეგი. ჩვენი ქვეყნის ყველა წარმატება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ლენინური პოლიტიკის თანმიმდევრული განხორციელების შედეგია. კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის განუყრელი ერთიანობა — აი დაუშრეტელი წყარო ჩვენი საბჭოთა სამშობლოს შემოქმედებითი ძალებისა, რომელიც კომუნიზმის ახალი გამარჯვებებისაკენ მიდის. **(ხანგრძლივი ტაში).**

სოციალიზმის მოწინააღმდეგენი უარყოფდნენ მუშათა კლასის, მშრომელი ხალხის შემოქმედებითს უნარს, რომლებმაც, აიღეს რა საკუთარ ხელში ძალაუფლება, დაიწყეს ცხოვრების შენება სოციალისტურ საწყისებზე. ისინი ყოველნაირად უკეთებდნენ რეკლამას კაპიტალიზმის უპირატესობას სოციალიზმის წინაშე, აქებდნენ „ჯერჯო მეწარმეობის“ ღირსებებს, რომლის მამოძრავებელია მოგება, გამდიდრება. მაგრამ ცხოვრებამ გააბათილა მათი მტკიცება.

სოციალისტურმა წყობილებამ დაამტკიცა თავისი დიდი ცხოველმყოფელი ძალა. მან უდიდესი შესაძლებლობანი შექმნა ეკონომიკისა და კულტურის აღმაჯლობისათვის, ხალხის მთელი შემოქმედებითი ძალების განვითარებისათვის. სოციალისტურ გარდაქმნათა შედეგად ჩვენი ქვეყანა, რომელიც რევოლუციამდე ჩაორჩენილი იყო სხვა ქვეყნებთან შედარებით, ისტორიულად მოკლე ვადაში გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ სახელმწიფოდ.

ახლა სოციალიზმის ყველაზე ღვარძლიანი მტრებიც კი იძულებული არიან აღიარონ, რომ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის ტექნიკურ აღჭურვაში, სპეციალისტებისა და მუშების მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებაში საბჭოთა კავშირმა განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებმა ახალი ენერგია და შემოქმედებითი აქტივობა შემატეს მშრომელებს. ყველა საბჭოთა ადამიანი უდიდესი პატრიოტული აღფრთოვანებით შრომობს პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის, იმ ღონისძიებათა განხორციელებისათვის, რომლებიც კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ დასახეს სოციალისტური ინდუსტრიის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, სახალხო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებისათვის.

ჩვენ შეგვიძლია დიდი კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ პარტიის XX ყრილობის შემდეგ გასული პერიოდი აღინიშნა ახალი დიდი წარმატებებით ჩვენი ქვეყნის განვითარებაში. **(ტაში).**

ამხანაგ კირიჩენკოს მოხსენებაში კარგად არის ნაჩვენები, თუ რა თვალსაჩინო წარმატებებს მიაღწია უკრაინამ საბჭოთა ხელისუფლების წლებში, რა დიდი ნაბიჯები გააკეთა მან მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და კულტურის განვითარებაში.

მკვეთრი აღმავლობის გზაზეა საბჭოთა კავშირის მთელი მრეწველობა. ეკონომიური რაიონების მიხედვით მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გარდაქმნამ, მრეწველობისა და მშენებლობის მართვის გადაცემამ მოქავშირე რესპუბლიკებისათვის, სახალხო მეურნეობის საბჭოების შექმნამ და ხელმძღვანელობის მიახლოებამ უშუალოდ საწარმოებთან დადებითი გავლენა მოახდინა ჩვენი მრეწველობის მუშაობაზე. ამას მოწმობენ მთელი ჩვენი ქვეყნის საწარმოთა და მშენებლობათა საქმიანობის შედეგები, ამას მჭევრმეტყველურად მოწმობენ საბჭოთა უკრაინის წარმატებანი. **(ტაში).**

1957 წლის გეგმით გათვალისწინებული იყო ჩვენს ქვეყანაში სამრეწველო წარმოების მოცულობის გადიდება 7,1 პროცენტით. ფაქტიურად სამრეწველო წარმოების მოცულობა წელს გაიზრდება 10 პროცენტით. **(ტაში).**

საჭიროა აღინიშნოს, რომ 1957 წლის მეორე ნახევარში მრეწველობა საგრძნო დავალებებს უფრო მაღალ დონეზე ასრულებს, ვიდრე 1956 წლის შესაბამის პერიოდში. თუ შარშან საერთო პროდუქციის მესამე კვარტალის გეგმა 101 პროცენტით შესრულდა, მიმდინარე წლის მესამე კვარტალში გეგმა შესრულებულია 104 პროცენტით. შარშან ოქტომბერ-ნოემბერში სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა შესრულდა საშუალოდ 103 პროცენტით, ხოლო მიმდინარე წლის იმავე პერიოდში — 105 პროცენტით.

შარშანდელთან შედარებით გეგმის შესრულება გაუმჯობესდა მრეწველობის ბევრ დარგში, კერძოდ, ქვანახშირის ამოღებაში, ცემენტის, მინერალური სასუქების, ავტომობილების, ტრაქტორების, ლითონსაჭრელი ჩარხებისა და სხვა სახეობათა პროდუქციის წარმოებაში, რომელთა მიხედვით შარშან გეგმა ვერ სრულდებოდა.

მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესების უაღრესად არსებითი მაჩვენებელია ისეთ საწარმოთა რიცხვის შემცირება, რომლებიც ვერ ასრულებენ წარმოების გეგმას. უფრო მაღალი დონით სრულდება აგრეთვე შრომის ნაყოფიერების გეგმა. ზოგადად, დავალება მრეწველობაში ასე მაქსიმალურად, შრომის ნაყოფიერების ზრდა ქვეყანაში შესრულდა 100,7 პროცენტით, ხოლო მიმდინარე წელს — 103 პროცენტით. წარმატებით სრულდება შრომის ნაყოფიერების გადიდების დავალება მიმდინარე წლის ოქტომბერ-ნოემბერშიც. გაუმჯობესდა კაპიტალური მშენებლობის გეგმის შესრულება.

საბჭოთა კავშირის მრეწველობის განვითარებაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს უკრაინის რესპუბლიკა.

ჩვენს დროში საბჭოთა უკრაინა წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ქვანახშირისა და მეტალურგიის უმნიშვნელოვანეს ბაზას, მანქანათმშენებლობის, ქიმიური და კვების მრეწველობის უდიდეს რაიონს. უკრაინა იძლევა თუჯის საერთო საკავშირო წარმოების 48 პროცენტს, ფოლადის 38 პროცენტს, ნაგლინის 39 პროცენტს, რკინის მადნის 56 პროცენტს და ქვანახშირის 33 პროცენტს. **(ტაში).**

მთელი რიგი ძირითადი ეკონომიური მაჩვენებლების მიხედვით უკრაინა არა თუ დაეწია, არამედ კიდევაც გაუსწრო ისეთ კაპიტალისტურ ქვეყნებს, როგორიც არის საფრანგეთი და იტალია. მაგალითად, უკრაინა ახლა იმდენსაც თუჯს აწარმოებს, რამდენსაც გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, და მეტს, ვიდრე დასავლეთ ევროპის რომელიმე სხვა კაპიტალისტური ქვეყანა. **(ტაში).**

უკრაინის სამრეწველო საწარმოები ამჟამად აწარმოებენ 2,7-ჯერ მეტ ნახშირბადჟანგს, ვიდრე 1940 წელს. უკრაინის მუშების შრომის ნაყოფიერება ამ ხნის განმავლობაში თითქმის ერთიორად გაიზარდა!

წელს უკრაინის მრეწველობა წარმატებით ასრულებს თავის გეგმებს. საჭიროა განსაკუთრებით აღინიშნოს დონბასის მუშაობის გაუმჯობესება. თუ გასული წლის 11 თვეში უკრაინის დონბასმა ქვანახშირის ამოღების გეგმა 97 პროცენტით შეასრულა, მიმდინარე წლის 11 თვეში გეგმა 100,3 პროცენტით შეასრულა, ამასთან ქვანახშირის ამოღება უკრაინაში 11 პროცენტით გადიდდა 1956 წელთან შედარებით. **(ტაში).**

რა თქმა უნდა, მრეწველობისა და მშენებლობის მუშაობაში როგორც მთლიანად ჩვენს ქვეყანაში, ისე უკრაინაშიც ჯერ კიდევ ბევრი ნაკლია, მაგრამ, „სკეპტიკოსთა“ მტკიცების საწინააღმდეგოდ, მრეწველობისა და მშენებლობის მართვის რეორგანიზაციის შემდეგ საქმე უარესად კი არ წასულა, არამედ გაცილებით უკეთ წავიდა. **(ტაში).**

ახლა ამოცანა ის არის, რომ გავაუმჯობესოთ სახალხო მეურნეობის საბჭოების საქმიანობა, მივაღწიოთ იმას, რომ ისინი უფრო ღრმად სწვდებოდნენ თვითეული საწარმოს მუშაობას, ოპერატიულად ხელმძღვანელობდნენ მათ, იცოდნენ მათი საჭიროებანი, საწარმოებსა და მშენებლობებს უწევდნენ საჭირო დახმარებას სახალხო-სამეურნეო ამოცანების შესრულებაში. სახალხო მეურნეობის საბჭოებს დიდი მუშაობა მოელით წარმოების შემდგომი გაუმჯობესების, მისი სპეციალიზაციის, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, საწარმოთა კოოპერირების დარგში, რათა მნიშვნელოვნად გადიდდეს შრომის ნაყოფიერება, გაიზარდოს პროდუქციის გამოშვება, შემცირდეს მისი თვითღირებულება.

სახალხო მეურნეობის საბჭოების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა სხვა ეკონომიური რაიონების შექვეთების პირველ რიგში და მაღალხარისხოვნად შესრულება. უნდა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ ჩვენი მრეწველობა დროზე ასრულებდეს ყველა შეკვეთას. მაგრამ სხვა ეკონომიური რაიონებისათვის შეკვეთების შესრულებას სახალხო მეურნეობის საბჭოებმა უეჭველებელი კონტროლი უნდა გაუწიონ. საჭიროა გვახსოვდეს, ამხანაგებო, რომ ამ შეკვეთების არა თავის დროზე შესრულება იწვევს მრეწველობის კოოპერირებისა და სპეციალიზაციის დარღვევას, ზიანს აყენებს მეურნეობის გეგ-

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)

უკრაინის სსრ დედაქალაქი კიევი. მარცხნივ — კიროვის ქუჩა. წინა პლანზე უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს შენობა; მარჯვნივ — ქალაქის ცენტრალური ნაწილი.

ფოტო ნ. კოზლოვსკისა. (სურათები გადაღებულია კერძმფრენიდან).

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე

(გაგრძელება)

მიან გაძღოლას. ასეთივე შეუნელებელი კონტროლი უნდა გაეწიოს ჩვენი მრეწველობის მიერ უცხო ქვეყნებისათვის ყველა შეკვეთის დროზე და მაღალხარისხოვან შესრულებას.

ორმად დარწმუნებული ვართ, რომ საბჭოთა კავშირის გმირი მუშათა კლასი, უკრაინის მრეწველობის მუშაკები ახალ დიდ წარმატებებს მოიპოვებენ მძიმე ინდუსტრიის შემდგომ მძლავრ აღმავლობაში, მსუბუქი და კვების მრეწველობის ყველა დარგის განვითარებაში. **(მჭუხარე ტაში).**

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ ვილაპარაკო სოფლის მეურნეობის ზოგიერთ საკითხზე. ცნობილია, რომ გასული 1956 წელი რეკორდული იყო მარცვლეულის საერთო მოსავლისა და დამზადების აზრით. მიმდინარე წელი არანაკლებ საყურადღებო იყო ჩვენი ქვეყნის მთელ რიგ რაიონებში და განსაკუთრებით ვოლგისპირეთში, ურალსა და ყაზახეთის სსრ ზოგიერთ ოლქში გვალვასთან დაკავშირებით. მაგრამ ყამირი და ნასვენი მიწების ათვისების მეოხებით ჩვენმა ქვეყანამ 1957 წელს პური დამზადა დაახლოებით იმდენივე, რამდენიც დამზადებული იყო 1955 წელს, ხოლო 1953 წელთან შედარებით პური 18 პროცენტით მეტი დამზადდა, აქედან ხორბალი 41 პროცენტით მეტი. **(ტაში).**

მარცვლეული კულტურების კარგი მოსავალი წელს მიღებულია დასავლეთ და აღმოსავლეთ ციმბირის ოლქებსა და მხარეებში, ჩრდილოეთ კავკასიაში, უკრაინაში, მოლდავეთში, ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ და მთელ რიგ სხვა რაიონებში.

მეტად მნიშვნელოვანია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმატებანი შაქრის ჭარხლის მოყვანაში. შაქრის ჭარხლის საერთო მოსავალი 1957 წელს მაქსიმალურია ყველა წინანდელ წელთან შედარებით. წელს შაქრის ჭარხალი აღებულია 69 მილიონი ცენტნერით მეტი, ვიდრე 1956 წელს, და 163 მილიონი ცენტნერით მეტი 1953 წელთან შედარებით. კარგად იშრომეს უკრაინის მეჭარხლეებმა, რომლებმაც წელს ჰექტარზე 210 ცენტნერი ჭარხალი მოიყვანეს. ამდენი ჭარხალი ჯერ არასოდეს არ მოუცია უკრაინის მიწას. ეს დიდი წარმატებაა, ამხანაგებო! **(ტაში).** დიდი მიღწევები აქვთ აგრეთვე ყირგიზეთის, კურსკის ოლქის და მეჭარხლეობის ზოგი სხვა რაიონის სოფლის მეურნეობის მშრომელებს.

ძლევენ რა არახელსაყრელი კლიმატური პირობებით გამოწვეულ სიძნელეებს, წელს ბამბის მომყვანი რესპუბლიკები იღებენ შარშანდელზე ცოტათი ნაკლებ მოსავალს. თურქმენეთისა და ტაჯიკეთის რესპუბლიკების, უზბეკეთის ანდიჟანის ოლქის, აგრეთვე ზოგიერთი სხვა რაიონის მებამბეებმა მეტი ბამბა მოკრიფეს, ვიდრე წარსულ წლებში.

ჩვენი ქვეყნის ბევრი რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა, კოლმეურნეობებმა, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვანი მუშაობა გასწიეს სიმინდის წარმოების გადიდებისათვის. სიმინდმა განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა მეცხოველეობისათვის წვნიანი საკვების დამზადების ზრდაში. წელს ჩაიდო დაახლოებით 90 მილიონი ტონა სილოსი, აქედან სიმინდისა — 52 მილიონი ტონა. მოგაგონებთ, რომ 1953 წელს სილოსი ჩადებული იყო სულ მხოლოდ 32 მილიონი ტონა. შარშანდელზე მეტი დამზადებულია კონცენტრირებული და უხეში საკვები. ყოველივე ეს ხელსაყრელ პირობებს უქმნის პირუტყვის გამოზამთრებას და მეცხოველეობის პროდუქციის გადიდებას.

მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის სულადობა 1957 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობის მიხედვით საბჭოთა კავშირის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდდა 4 მილიონ 200 ათასით, ძროხისა — 600 ათასით, ღორის სულადობა გადიდდა 6 მილიონ 400 ათასით, ცხვრისა — 8 მილიონ 900 ათასი სულით.

პირუტყვის სულადობის ზრდასთან ერთად მიღწეულია მეცხოველეობის პროდუქტიულობის მნიშვნელოვანი გადიდება, გადიდებულია რძის, ხორცის, მატყლისა და სხვა პროდუქტების წარმოება.

საბჭოთა ადამიანებს ახარებთ სოფლის მეურნეობის მუშაკთა დიდი მიღწევები რძის წარმოების გადიდების საქმეში.

როგორც გახსოვთ, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ საჭიროა 6 წლის განმავლობაში, ესე იგი 1960 წლისათვის, უზრუნველყოფილ იქნას წველადობის გადიდება საშუალოდ ერთ ძროხაზე კოლმეურნეობებში სულ ცოტა 1.700 კილოგრამამდე. ეს დავალება შესრულებულია გადაჭარბებით და ამასთან არა 6 წელიწადში, არამედ სულ 3 წელიწადში. **(ხანგრძლივი ტაში).**

საშუალო წველადობა ერთ საფურაქე ძროხაზე კოლმეურნეობებში შეადგენდა:

1954 წელს — 1.072 კილოგრამს
1955 წელს — 1.315 კილოგრამს
1956 წელს — 1.611 კილოგრამს
1957 წელს (წინასწარი ცნობებით)— 1.853 კილოგრამს, ანუ 153 კილოგრამით მეტს. ვიდრე გათვალისწინებული იყო 1960 წლის დავალებით. **(ტაში).**

ჩვენი კოლმეურნეობების ეს დიდი მიღწევა საბჭოთა ადამიანების დიდ კმაყოფილებას იწვევს.

საბჭოთა მეურნეობებმა 1957 წელს **საშუალოდ ერთ ძროხაზე** მიიღეს დაახლოებით 2.700 კილოგრამი რძე, 1960 წლის დავალებით კი გათვალისწინებული იყო 3.100 კილოგრამი.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1955 წლის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული იყო რძის წარმოების გადიდება 1960 წლისათვის 1954 წელთან შედარებით ერთიორად. გასულ სამ წელიწადში კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა რძის წარმოება გადიდეს თითქმის ერთიორად. მთლიანად ყველა კატეგორიის მეურნეობებში რძის წარმოება სამ წელიწადში 43 პროცენტით გადიდდა.

რძის წარმოების ზრდამ და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ხვედრითი წონის მნიშვნელოვანმა გადიდებამ შესაძლებელი გახადა გადიდებულიყო რძის დამზადება ჩვენს ქვეყანაში. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებით გათვალისწინებული იყო, რომ რძის დამზადება 1960 წელს უნდა გადიდებულიყო 1954 წელთან შედარებით სულ ცოტა 1,8-ჯერ. ეს დავალება აგრეთვე შესრულდა არა 6 წელიწადში, არამედ 3 წელიწადში. **(ხანგრძლივი ტაში).**

ჩვენს ქვეყანაში ყველა კატეგორიის მეურნეობებში დამზადებული იყო რძე:

1954 წელს — 11,3 მილიონი ტონა.
1955 წელს — 13,5 მილიონი ტონა.
1956 წელს — 17,3 მილიონი ტონა
1957 წელს — 20,5 მილიონი ტონა, ანუ 81 პროცენტით მეტი, ვიდრე 1954 წელს **(ტაში).**

გადიდდა აგრეთვე ხორცის, განსაკუთრებით ღორის ხორცის წარმოება. ამასთან ხორცის წარმოების ყველაზე მეტი გადიდება იყო უკრაინაში, მოლდავეთსა და ლიტვაში.

მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის ბრძოლაში ჩაება ყველა მოკავშირე რესპუბლიკა. ბევრი კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა და მთელი რაიონები იღწვებიან, რომ ისინი წარმატებით ასრულებენ ვალდებულებას 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღონ ხორცი 100 და მეტი ცენტნერი და რძე 400-500 ცენტნერი. ეს მოწმობს დასახული ამოცანის რეალობას, დიდ შესაძლებლობებსა და რეზერვებს, რომლებიც ჩვენი სოფლის მეურნეობაშია.

რძისა და ხორცის წარმოების შემდგომი გადიდებისათვის საჭირო იქნება არა მარტო მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდა, არამედ ყველა სახეობის პირუტყვისა და ფრინველის სულადობის მნიშვნელოვანი გადიდება.

ამასთან საჭიროა მაქსიმალურად გამოვიყენოთ თვითეულ რესპუბლიკასა და ოლქში არსებული პირობები ამა თუ იმ სახეობის პირუტყვის მოშენებისათვის. განვითარებული მერძეული მეცხოველეობის რაიონებში, ისეთებში, მაგალითად, როგორიც არის რუსეთის სფსრ ცენტრალური ოლქები, უკრაინის ზოგიერთი ოლქი, ბელორუსია, ბალტიისპირეთი, როგორც ჩანს, საჭიროა ვიყოლიოთ 20-25 ძროხა 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. სხვა რაიონებში, სადაც არის მეცხვარეობის, სახორცე მესაქონლეობის განვითარების პირობები, როგორც, მაგალითად, ყაზახეთში, ორენბურგისა და ჩიტის ოლქებში, სტავროპოლის მხარესა და სხვა რაიონებში, მერძეული ძროხების რიცხვი, ცხადია, ნაკლები იქნება.

მაგრამ მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ პირუტყვის სულადობის შემდგომი ზრდა უნდა ხდებოდეს უმთავრესად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, რადგან მუშაობის პრაქტიკამ მთელი დამაჯერებლობით ცხადყო მსხვილი მეურნეობის წარმოების უპირატესობა მეცხოველეობის საერთო და სასაქონლო პროდუქციის წარმოების სწრაფი გადიდების საქმეში.

უკრაინის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვნად გადიდეს მარცვლეულის, შაქრის ჭარხლის, რძის, ხორცისა და სხვა პროდუქტების წარმოება. ბევრმა კოლმეურნეობამ და მთელმა რაიონებმაც კი წელს უკვე 100 ცენტნერი ხორცი და 300-400 ცენტნერი რძე მიიღეს 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე. ეს ძალიან კარგია!

თავისი იუბილეს წინ უკრაინის რესპუბლიკამ გვიპატაჟა რძისა და ხორცის წარმოების გადიდების გეგმებისა და ვალდებულებათა გადაჭარბებით შესრულების შესახებ. 10 დეკემბრისათვის რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით ჩაბარეს 860 ათასი ტონა რძე და 156 ათასი ტონა ხორცი. მიმდინარე წლის 11 თვეში რძის საერთო წარმოება გაიზარდა რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში 1953 წელთან შედარებით 3 მილიონ 700 ათასი ტონით, ანუ ორნახევარჯერ. ხორცის დამზადება და შესყიდვა 1953 წელთან შედარებით 1,7-ჯერ გადიდდა. **(ტაში).**

ნება მიბოძეთ მივულოცო უკრაინის სოციალისტური სოფლის მეურნეობის მშრომელებს ეს დიდი წარმატება მეცხოველეობის განვითარებაში. **(მჭუხარე ტაში).**

მოწინავეთა მიღწევები მოწმობენ, რომ უკრაინას აქვს უდიდესი რეზერვები მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის. მაგრამ თქვენც არიან ისეთი კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობებიც, რომლებიც ჯერ კიდევ ცოტა პროდუქტებს აწარმოებენ 100 ჰექტარ მიწაზე. თქვენ იკისრეთ ვალდებულება მთლიანად რესპუბლიკაში 100 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე მიიღოთ სულ ცოტა 100 ცენტნერი ხორცი და 400 ცენტნერი რძე, აქედან კოლმეურნეობებში სულ ცოტა 64 ცენტნერი ხორცი და 247 ცენტნერი რძე.

ასეთი მაჩვენებლების მოპოვებისათვის საჭიროა ჯერ კიდევ მეტად ბევრი შრომა, ყველა კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობის აყვანა მოწინავეთა დონემდე. ამისათვის კი საჭიროა უწინარეს ყოვლისა გავაუმჯობესოთ ორგანიზატორული მუშაობა სოფლად, მზრუნველობით აღვზარდოთ კოლმეურნეები, მერგოლურები, ბრიგადირები და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები. ამის მოგონება საჭიროა იმიტომ, რომ ჩვენ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებანი ადამიანებთან და განსაკუთრებით კოლმეურნეობათა ხელმძღვანელ კადრებთან მუშაობაში. საჭიროა აგრეთვე მტკიცედ ვნერგავდეთ წარმოებაში მოწინავე გამოცდილებასა და სასოფლო-სამეურნეო მეცნიერების მიღწევებს.

მინდა რამდენიმე სიტყვა ვთქვა იმაზე, რომ სწორად გვესმოდეს მოწოდება — უახლოეს წლებში დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ. როცა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მზარი დაუჭირა მოწინავე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მოწოდებას — დავეწიოთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ და ამასთან დაკავშირებით დასახა ამოცანა — გადიდდეს წარმოება. მაგალითად, ხორცისა 3,5-ჯერ, მაშინდელობაში იყო მიღებული მაჩვენებლები ჩვენს ქვეყანაში მთლიანად.

რაც შეეხება ცალკეულ რესპუბლიკებს, აქ ასეთი საშუალო საზომით მიდგომა არ შეიძლება. ავიღოთ, კერძოდ, უკრაინა. კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და სოფლის ყველა მშრომელმა მიზნად უნდა დაისახონ ბრწყინვალედ გადააჭარბონ ამერიკის შეერთებული შტატების მაჩვენებლებს.

უნდა გამოვიანგარიშოთ, თუ რა ოდენობით უნდა გადააჭარბოს უკრაინამ ამერიკის შეერთებული შტატების მაჩვენებლებს. თქვენ, ამხანაგო უკრაინელებო, არა მარტო უნდა დაეწიოთ, არამედ მნიშვნელოვნადაც უნდა გაუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების მხრივ. **(ტაში).** შესაძლოა ერთიორად, ხოლო შესაძლოა უფრო მეტადაც. მაგრამ უდავოა, რომ თქვენ გაქვთ იმის ყველა პირობა, რომ 100 ჰექტარ მიწაზე აწარმოოთ გაცილებით მეტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში აწარმოებენ. **(ტაში).**

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის და უწინარეს ყოვლისა მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის შემდგომი გადიდება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მიწათმოქმედებასა და მეცხოველეობას შორის პირდაპირი ურთიერთ დამოკიდებულებაა. საკვების წარმოებისა და დაგროვების დონეზე დამოკიდებულია მეცხოველეობის მდგომარეობა, ხოლო მეურნეობაში პირუტყვის არსებობაზე თავის მხრივ დამოკიდებულია ორგანული სასუქების დაგროვება, რომლებიც საჭიროა მოსავლიანობის გადიდებისათვის.

სოფლის მეურნეობის ყველა მუშაკის ყურადღება უნდა მიექცეს წარმოების ორგანიზაციის ეკონომიურ მხარეს, შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისა და წარმოების ხარჯების შემცირების საკითხებს.

კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წარმოების პროცესების მექანიზაციის დონის ამაღლებას, ტექნიკის უკეთ გამოყენებას, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვას.

პარტია და მთავრობა მტკიცე რწმენას გამოთქვამენ, რომ სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა, სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა მშრომელი კვლავაც თავდადებით იბრძოლებენ სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოების გადიდებისათვის და ღირსეულ წვლილს შეიტანენ მოსახლეობისათვის სურსათისა და მსუბუქი მრეწველობისათვის ნედლეულის მიწოდების მიღწევაში. **(მჭუხარე ტაში).**

შეიძლება ეჭვი არ ვიქონიოთ, რომ უკრაინის კოლმეურნეები, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკები, რომლებიც არაერთხელ ყოფილან საყოველთაო-სახალხო შეჯიბრებისა და შრომის ახალი მეთოდების წამომწყებნი სოფლის მეურნეობაში, კვლავაც გამოიჩენენ შემოქმედებითს ინიციატივას, იქნებიან სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, ჩვენს ქვეყანაში პროდუქტების სრული სიუხვის შექმნისათვის ბრძოლის პირველ რიგებში. **(მჭუხარე ტაში).**

ამხანაგებო! კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მუდამ უთმობდნენ დიდ ყურადღებას ხალხის კეთილდღეობის აღმავლობას. უკანასკნელ წლებში განხორციელდა მთელი რიგი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საბჭოთა ხალხის ცხოვრების გაუმჯობესებას და მუშების, მოსამსახურეებისა და კოლმეურნეების რეალური შემოსავლის გადიდებას.

ჩვენი ქვეყნის ნაციონალური შემოსავალი მარტო 1950-დან 1957 წლამდე ერთიორად და მეტად გადიდდა. ამავე ხნის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი, გლეხების შემოსავალი.

უნდა ითქვას, რომ მშრომელთა რეალური შემოსავლის გადიდება შეიძლება განხორციელდეს ძირითადად ორი გზით — სახალხო მოხმარების საქონლის საცალო ფასების შემცირების ან ფულადი ხელფასის გადიდების, პენსიების, დახმარებისა და მშრომელთა სხვა ფულადი შემოსავლის გადიდების გზით.

როგორც ცნობილია, 1947-დან 1954 წლამდე ჩვენ ძირითადად მივდიოდით საცალო ფასების შემცირების გზით. ახლა სახელმწიფო საცალო ფასები 2,3-ჯერ უფრო ნაკლებია, ვიდრე 1947 წელს, ამასთან პურის, ხორცის, ერბოკარაქისა და პირველი საჭიროების ზოგიერთი სხვა საქონლის ფასები კიდევ უფრო მეტად შემცირდა. მომდინარე წელს შემცირდა აგრეთვე მასობრივი მოხმარების მთელი რიგი სხვა საქონლის ფასები. ჩვენ კვლავაც განვახორციელებთ ამგვარ ღონისძიებებს. **(ტაში).**

მაგრამ საჭიროა მხედველობაში ვიქონიოთ, რომ საცალო ფასების შემცირებით უფრო მეტად ისინი იგებენ, ვინც მეტ საქონელს ყიდულობს, ესე იგი, დიდხელფასიან მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფები, და ნაკლებად იგებენ მცირეხელფასიანები.

ჩვენ ვემყარებით შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით ანაზღაურების სოციალისტურ პრინციპს და, რასაკვირველია, ვერ დავუშვებთ გათანაბრებას ხელფასში; მაგრამ განსხვავება დიდხელფასიანი და მცირეხელფასიანი ჯგუფების ხელფასში უნდა შემცირდეს და რაც დრო გავა, ეს განსხვავება მით უფრო შემცირდება მცირეხელფასიანი კატეგორიების მშრომელთა ხელფასის გადიდების, პენსიით უზრუნველყოფის ზრდის გზით. **(ტაში).**

ზოგიერთი ღონისძიება ამ მიმართულებით უკვე განხორციელდა. მაგალითად, 1957 წლის 1 იანვრიდან ხელფასი გაუდიდდათ მცირეხელფასიან მუშა-მოსამსახურეებს. ამავე დროს გაუქმდა იმ მუშების, მოსამსახურეებისა და მოსწავლეებისათვის გადასახადების გადახდევინება, რომლებიც ხელფასს ან სტიპენდიას იღებენ 370 მანეთამდე თვეში. ამან მცირეხელფასიანი მუშა-მოსამსახურეების შემოსავალი წელიწადში გაადიდა 8 მილიარდი მანეთით და უზრუნველყო ხელფასის გადიდება მთლიანად მცირეხელფასიან მუშაკთა ჯგუფში საშუალოდ 33 პროცენტით. ჩვენი ქვეყნის მუშა-მოსამსახურეთა რეალური ხელფასი 1950-დან 1957 წლამდე ერთნახევარჯერ და მეტად გაიზარდა.

ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების დიდი ფაქტორი იყო ახალი კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ. 1955 წელს მოსახლეობამ სახელმწიფოსაგან მიიღო 30 მილიარდ 100 მილიონი მანეთი პენსიები, 1957 წელს — 57 მილიარდ 900 მილიონი მანეთი, ხოლო 1958 წლის გეგმით ამ მიზნისათვის გათვალისწინებულია 66 მილიარდი მანეთი. ეს მოწმობს, რომ ჩვენს ქვეყანაში ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ვინც პატიოსნად იმუშავა, კარგად უზრუნველყოფილი მოხუცებულობა ჰქონდეს. **(ტაში).**

დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება მოსახლეობის შემოსავლის გასადიდებლად იყო მოსახლეობის გადასახდელთა შემცირება სესხზე ხელმოწერით 1957 წელს და მომავალში სახელმწიფო სესხებზე ხელმოწერის სრული გაუქმება. ცნობილია, რომ მოსახლეობის გადასახდელი სესხებით 1956 წელს შეადგენდა დაახლოებით 33 მილიარდ მანეთს. მართალია, მოსახლეობა სესხებით იღებდა მოგებას, მაგრამ ამ მოგებას მეტწილად იღებდნენ ის კატეგორიები, რომლებსაც უფრო დიდი ხელფასი და უფრო მეტი ობლიგაციები ჰქონდათ, ხოლო სესხზე ხელს აწერდა ყველა მუშა და მოსამსახურე (საშუალოდ სამი კვირის ხელფასზე) და ყველა კოლმეურნე.

მარტო მცირეხელფასიან მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის გადიდებით, პენსიებზე ასიგნობათა გადიდებით და სესხზე ხელმოწერის შემცირებით (თუ ავიღებთ განსხვავებას სესხის გადასახდელებსა და მიღებულ მოგებას შორის) მოსახლეობამ 1957 წელს 1955 წელთან შედარებით დამატებით მიიღო დაახლოებით 41 მილიარდი მანეთი შემოსავალი, ხოლო 1958 წელს მიიღებს 60 მილიარდზე მეტს, რაც სამჯერ და მეტად აღემატება მოსახლეობის მოგებას ფასების შემცირებით 1954 წელს. **(ტაში).**

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა კვლავაც ეცდებიან აამაღლონ ხალხის ცხოვრების დონე, განახორციელებენ ხელფასის მაქსიმალურ და მინიმალურ დონეს შორის განსხვავების შემცირების ხაზს. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესება, ხელფასის გადიდება, სესხების ფასების შემდგომი შემცირება — ყველაფერი ეს დამოკიდებულია შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე.

აქ არსებობს პირდაპირი დამოკიდებულება და ეს ჩვენ უნდა შევაგებინოთ მუშებსა და მოსამსახურეებს, კოლმეურნეებს, ჩვენი ქვეყნის ყველა მშრომელს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად 1956 წლის მეორე ნახევრიდან დაიწყო საწარმოთა გადაყვანა შემცირებულ სამუშაო დღეზე. მაგალითად, 1956 წლის მეოთხე კვარტალში შემცირებულ სამუშაო დღეზე გადაყვანილ იქნენ დონბასის შახტების მიწისქვეშა მუშები. ამჟამად შემცირებულ სამუშაო დღეზე გადადიან შავი მეტალურგიის სამთომადნო, მეტალურგიული და ქიმიური საწარმოების მუშები და მოსამსახურეები.

მეექვსე ხუთწლედის განმავლობაში ყველა მუშა და მოსამსახურე გადაყვანილ იქნება 7 საათის სამუშაო დღეზე, ხოლო მთელი რიგი პროფესიების მუშები — 6 საათის სამუშაო დღეზე. სამუშაო დღის შემცირება და ამასთან მუშახელზე გაზრდილი მოთხოვნილება ერთხელ კიდევ ადასტურებს პარტიისა და მთავრობის დაუცხრომელ ზრუნვას ჩვენი ქვეყნის მშრომელთა კეთილდღეობისათვის.

ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება გამოიხატება აგრეთვე საბჭოთა ვაჭრობის განვითარებით. მარტო 1957 წელს საცალო საქონელბრუნვა გაიზარდა 70 მილიარდი მანეთით და მეტით.

პარტიამ და მთავრობამ უკანასკნელ წლებში დიდი ღონისძიებანი განახორციელეს კოლმეურნე გლეხობის მატერიალური კეთილდღეობის გაუმჯობესების საქმეში. ერთ-ერთი ასეთი დიდმნიშვნელოვანი ღონისძიება იყო დასამზადებელი ფასების გადიდება და გადიდებული შესასყიდი ფასების შემოღება სასოფლო-სამეურნეო პროდუქციაზე, რომლის ჩაბარება და მიყიდვა ხდებოდა სახელმწიფოსათვის.

მარტო სახელმწიფოსათვის ჩაბარებული და მიყიდული პროდუქციის ფასების გადიდებით კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 1957 წელს მიიღეს თითქმის 50 მილიარდი მანეთით მეტი, ვიდრე 1952 წელს. ხოლო თუ გავითვალისწინებთ სახელმწიფოსათვის ჩაბარებული და მიყიდული პროდუქციის მოცულობის ზრდას, კოლმეურნეობებისა და მოსახლეობის შემოსავალი 1952-დან 1957 წლამდე გაიზარდა 64 მილიარდი მანეთით.

თუ რას ნიშნავს ეს, შეიძლება დავინახოთ ცალკეული ოლქების მაგალითით. მაგალითად, კურსკის ოლქში კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 1957 წელს სახელმწიფოსათვის ჩაბარებული და მიყიდული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციისათვის მიიღეს 1 მილიარდ 13 მილიონი მანეთი, ხოლო 1952 წელს — 136 მილიონი მანეთი, ხარკოვის ოლქში შესაბამისად 1 მილიარდ 98 მილიონი მანეთი ნაცვლად 264 მილიონი მანეთისა, დნეპროპეტროვსკის ოლქში — 816 მილიონი ნაცვლად 188 მილიონი მანეთისა, სმოლენსკის ოლქში — 787 მილიონი ნაცვლად 109 მილიონი მანეთისა, ბელორუსიის სს რესპუბლიკაში — 3 მილიარდ 854 მილიონი ნაცვლად 425 მილიონისა, ლიტვის სს რესპუბლიკაში — 1 მილიარდი მანეთი 1957 წელს ნაცვლად 170 მილიონი მანეთისა 1952 წელს.

უკანასკნელ წლებში მიღწეულია სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების მნიშვნელოვანი ზრდა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში. ამასთან დაკავშირებით გადიდდა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების მოცულობა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხარჯზე, რამაც საშუალება მისცა სახელმწიფოს შეემცირებინა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების — ხორბლეულობა, ჩაისა და ბოსტნეულობა და ტექნიკური კულტურების — ბამბის, შაქრის ჭარხლის, მზესუმზირის, ბოსტნეულის და სხვა პროდუქტების ფასები.

ეს ნიშნავს, რომ ახლა ჩვენ სახალხო მეურნეობაში ვაბანდებთ 14-ჯერ მეტს, ვიდრე დაბანდებული იყო პირველი ხუთწლედის წლებში,- ხოლო მრეწველობაში ვაბანდებთ 15-ჯერ და უფრო მეტს.

თუ ავიღებთ სამრეწველო პროდუქციას, სამრეწველო პროდუქციის მატების ერთი პროცენტი 1928 წელს . ნიშნავდა თანამედროვე ფასებში ნახევარ მილიარდ მანეთზე ნაკლებს, ხოლო 1957 წელს — 10 მილიარდ მანეთზე მეტს.

ჩვენ წინ მივდივართ გაცილებით უფრო სწრაფად, ვიდრე კაპიტალისტური ქვეყნები. 40 წლის მანძილზე— 1918-დან 1957 წლამდე სამრეწველო პროდუქციის მატების საშუალო წლიური ტემპი სსრ კავშირში შეადგენდა 10 პროცენტს, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში — 3,2 პროცენტს, ინგლისში — 1,9 პროცენტს, საფრანგეთში — 3,2 პროცენტს.

თუ გამოვრიცხავთ სამოქალაქო ომის, აღდგენითი პერიოდის წლებს და სამამულო ომის წლებს, 22 მშვიდობიან წელიწადში ჩვენ სამრეწველო პროდუქციას ვადიდებდით საშუალოდ წელიწადში 16,2 პროცენტით, მაშინ როცა ამერიკის შეერთებული შტატები მას ადიდებდნენ 2,8 პროცენტით, ინგლისი — 3,2 პროცენტით, საფრანგეთი — 3 პროცენტით. ეს ნიშნავს, რომ ერთ წელიწადში ჩვენ ვიძლევით საშუალოდ მატების ისეთ ტემპს, რომელსაც კაპიტალისტური ქვეყნების მრეწველობა იძლევა 5-6 წელიწადში. **(ტაში).**

ავიღოთ, მაგალითად, შავი მეტალურგია და ვნახოთ მონაცემები ფოლადის გამოშვების შესახებ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

1913 წელს ჩვენს ქვეყანაში გამოშვებული იყო 4,2 მილიონი ტონა ფოლადი, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში — 31,8 მილიონი ტონა, ესე იგი 7-ჯერ და უფრო მეტი. 1917 წელს რუსეთში გამოშვებული იყო 3,1 მილიონი ტონა ფოლადი, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში — 45,8 მილიონი ტონა, ესე იგი 15-ჯერ მეტი. 1921 წელს სამოქალაქო ომთან დაკავშირებით სსრ კავშირში გამოშვებული იყო სულ 220 ათასი ტონა ფოლადი, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში, ომისშემდგომი კრიზისის მიუხედავად, მაინც 20 მილიონზე მეტი ტონა, ესე იგი 90-ჯერ მეტი. პირველი ხუთწლედის დამდეგისათვის 1928 წელს ჩვენ აღვაღწიეთ ომამდელი დონე და გამოვუშვით 4,3 მილიონი ტონა ფოლადი. ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ დროს უშვებდნენ 52,4 მილიონ ტონას.

ომამდელ 1940 წელს ჩვენ ვუშვებდით 18,3 მილიონ ტონა ფოლადს, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატები — 60,8 მილიონ ტონას, ესე იგი 3-ჯერ და ცოტათი მეტს. ომის დროის დანაკარგების შედეგად 1945 წელს ფოლადის წარმოება ჩვენში შემცირდა 12,3 მილიონ ტონამდე, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში უშვებდნენ 72,3 მილიონ ტონას, ესე იგი 6-ჯერ მეტს.

1957 წელს ფოლადის წარმოება სსრ

	სულ კაპიტალური დაბანდებანი	აქედან მრეწველობაში
პირველ ხუთწლედში	15,3 მილიარდი მანეთი	6,5 მილიარდი მანეთი
მეორე ხუთწლედში	29,5 მილიარდი მანეთი	12,3 მილიარდი მანეთი
მესამე ხუთწლედის ომამდელ წლებში	41,5 მილიარდი მანეთი	17 მილიარდი მანეთი
მეოთხე ხუთწლედში	67,7 მილიარდი მანეთი	33,1 მილიარდი მანეთი
მეხუთე ხუთწლედში	130,9 მილიარდი მანეთი	66,8 მილიარდი მანეთი
1956 წელს	186,2 მილიარდი მანეთი	91,5 მილიარდი მანეთი
1957 წელს	210 მილიარდი მანეთი	101 მილიარდი მანეთი

ლურგია და ვნახოთ მონაცემები ფოლადის გამოშვების შესახებ სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

(დასასრული მე-3 გვერდზე)

ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს საიუბილეო სესიაზე

(დასასრული)

კავშირში შეადგენს 51 მილიონ ტონას, ხოლო ამერიკის შეერთებულ შტატებში — დაახლოებით 106 მილიონ ტონას, ესე იგი 2-ჯერ მეტს.

არის ყველა საფუძველი ვიფიქროთ, რომ ფოლადის წარმოების მხრივაც, ისევე როგორც სხვა სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოების მხრივ, ჩვენ შეგვიძლია დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ისტორიულად უმოკლეს ვადაში. **(ხანგრძლივი ტაში).**

ამრიგად, წარმატებითი გადავჩრა სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიური ამოცანისა — დავეწიოთ და გავუსწროთ უმთავრეს კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის წარმოების მხრივ — რეალური სინამდვილე ხდება. **(ტაში).**

ეყრდნობა რა მძლავრ ქვანახშირის, მეტალურგიულ, ქიმიურ, მანქანათმშენებელ მრეწველობას და მრეწველობის სხვა დარგებს, უდიდეს გამოკვლეულ ბუნებრივ მარაგს, საბჭოთა უკრაინას აქვს რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის შემდგომი ზრდის დაუშრეტელი შესაძლებლობანი და შეუძლია კიდევ უფრო დიდი როლი შეასრულოს მთელი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში.

ეკონომიკამ, მეცნიერებამ და ტექნიკამ საბჭოთა კავშირში განვითარების ისეთ დონეს მიაღწია, რომ ჩვენ ახლა შესაძლებლობა გვაქვს, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისა და მძიმე ინდუსტრიის შემდგომი განვითარების ინტერესებისათვის ზიანის მიუყენებლად, უფრო სწრაფი ტემპებით განვავითაროთ მსუბუქი მრეწველობა და, კერძოდ, ვაწარმოოთ ფეხსაცმელი და ჭრელეული მოსახლეობისათვის ისეთი რაოდენობით, რომ შესაძლებლობა გვეძლეს უახლოეს 5-7 წლის განმავლობაში უხვად უზრუნველვყოთ მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილება ამ საჭიროებაზე.

პერსპექტიული გეგმის მონახაზებში წამოყენებული ამოცანების გადაწყვეტად საჭიროა ბევრი იმუშაოს ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ. საჭიროა მნიშვნელოვნად უკეთ გამოვიყენოთ სახალხო მეურნეობის ყველა დარგში არსებული რეზერვები, მტკიცედ ავამაღლოთ შრომის ნაყოფიერება, განვახორციელოთ უმკაცრესი მომჭირნეობის რეჟიმი, ყველაფერში გამოვიჩინოთ ნამდვილი ყაირათიანობა, ვიბრძოლოთ ზედმეტობისა და ხელგაშლილობის წინააღმდეგ.

მინდა ერთხელ კიდევ ხაზგასმით აღვნიშნო, რომ მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, კულტურის შემდგომი განვითარებისათვის, ჩვენი ქვეყნის თავდაცვის განმტკიცებისა და ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებისათვის საჭირო ჩვენი დაგროვების მთავარი წყაროა შრომის ნაყოფიერების განუხრელი ზრდა. შრომის ნაყოფიერების გადიდება სოციალისტური ეკონომიკის განვითარების ძირეული საკითხია და მას უნდა მივაპყროთ მუდამ ყველა ჩვენი მუშაკის ყურადღება.

საბრეწველო საწარმოს და მშენებლობის, კოლმეურნეობის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურისა და საბჭოთა მეურნეობის საქმიანობის შეფასებისას საჭიროა ყოველთვის გავითვალისწინოთ, თუ როგორ დიდდება შრომის ნაყოფიერება, როგორ მცირდება შრომის დანახარჯი პროდუქციის ერთეულის წარმოებაზე, როგორ მცირდება პროდუქციის თვითღირებულება და უმჯობესდება მისი ხარისხი.

ამხანაგებო! ჩვენი ხალხის უდიდესი მონაპოვარი საბჭოთა ხელისუფლების წლებში ის არის, რომ ჩვენ საქმით დავუმტკიცეთ მთელ მსოფლიოს, რომ მხოლოდ სოციალიზმი ქმნის საზოგადოების სულიერი ცხოვრების სწრაფი და ყოველმხრივი განვითარების უფართოეს შესაძლებლობას, ყოველად შეუზღუდავ შესაძლებლობას მეცნიერების, ტექნიკის, ლიტერატურისა და ხელოვნების აყვავებისათვის, ხალხური ტალანტებისა და ნიჭიერი ადამიანების გამოვლინებისათვის.

კულტურული რევოლუციის შედეგად, რაც ჩვენს ქვეყანაში განხორციელდა, მილიონობით ადამიანი, რომლებიც წინათ გაძარცული იყვნენ სწავლის, განათლებისა და ცოდნის მხრივ, საბჭოთა ხელისუფლების მანძილზე ეზიარა კულტურის დიად ღირებულებებს და კულტურის აქტიური შემოქმედი გახდა.

საბჭოთა ქვეყანაში მსოფლიოში პირველი დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის შექმნისა და გაშვების აღსანიშნავად მიღებულია გადაწყვეტილება, რომ 1958 წელს აიგოს ობელისკი საბჭოთა კავშირის დედაქალაქ მოსკოვში. **(ტაში).**

მთელი საბჭოთა ხალხი უდიდესი სიხარულით მიესალმება მეცნიერთა, კონსტრუქტორთა და მუშათა დაჯილდოებას. სახელი და დიდება მათ! **(მჭუხარე ხანგრძლივი ტაში).**

ამხანაგებო!

ნიჭიერ უკრაინელ ხალხს თავისი შესანიშნავი წვლილი შეაქვს სოციალისტური მეცნიერების, ტექნიკისა და კულტურის საერთო საგანძურში. უკრაინის რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ახლა უმაღლესი და სპეციალური საშუალო განათლების მქონე 1 მილიონ 250 ათასი სპეციალისტი მუშაობს.

